<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №76, 29.12.2010, მუხ. 500) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის:

ა) „ე^1“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^2“ ქვეპუნქტი:

„ე^2 თამბაქოს წარმოება - დაჭრილი თამბაქოს (მოსაწევი თამაქოს) მომზადება (თამბაქოს ნედლეულის გაჩეჩვა, დანამვა და სოუსირება, თამბაქოს ნედლეულის შერევა, თამბაქოს დაჭრა, დაჭრილი თამბაქოს თერმული დამუშავება, დაჭრილი თამბაქოს არომატიზირება, დაჭრილი თამბაქოს შერევა, მზა პროდუქციის შეფუთვა) და სიგარეტის წარმოება (დაჭრილი თამბაქოს სიგარეტში განთავსება, ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის წარმოება, სიგარეტის კოლოფში შეფუთვა);“.

ბ) „უ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ) თამბაქოს მწარმოებელი - შესაბამისი ლიცენზიის მფლობელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს ამ კანონის მე-3 მუხლის „ე^2“ პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობებს და პასუხს აგებს ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებისათვის მის მიერ განხორციელებული საქმიანობის ყოველ ეტაპზე; ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი წარმომადგენელი ან პროდუქტის იმპორტიორი, როდესაც უცხოელ დამამზადებელს არ ჰყავს წარმომადგენელი;“.

2. მე-4 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) თამბაქოს წარმოების ლიცენზირების წესი და პირობები.“;

ბ) 3^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^2 - 3^4 პუნქტები:

„3^2. თამბაქოს წარმოების ლიცენზიის მაძიებელზე გაიცემა შესაბამისი ლიცენზია თუ იგი აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განსაზღვრულ პირობებს, მათ შორის, თუ თამბაქოს ნაწარმის ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის მიზნით საწარმო უზრუნველყოფილია საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად აღჭურვილი სათანადო ლაბორატორიით.

3^3. თამბაქოს წარმოების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ახორციელებდეს ამ კანონის მე-3 მუხლის „ე^2“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ საქმიანობას და უზრუნველყოს თამბაქოს წარმოების სრული პროცესი, ხოლო რომელიმე საქმიანობის განუხორციელებლობა ითვლება ლიცენზიის პირობების დარღვევად და იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

3^4. ამ კანონის მე-3 მუხლის „ე^2“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საქმიანობის თამბაქოს წარმოების ლიცენზიის გარეშე განხორციელება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.“.

3. 12^1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

7. 2025 წლის პირველ იანვრამდე თამბაქოს წარმოების ლიცენზიის გარეშე საქმიანობად არ ჩაითვლება ამ კანონის მე-3 მუხლის „ე^2“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თამბაქოს წარმოება.“.

მუხლი 2. საქართველოს მთავრობამ 2024 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტის მიღება.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2024 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**